საქართველოს ენერგეტიკის
სამინისტრო

MINISTRY OF ENERGY
OF GEORGIA

4314-04-2-201511181055

N 04/4314
18/11/2015

„ჟურნალისტიკის განვითარების ცენტრის“
ჟურნალისტს ნინო ბაქრაძეს

ქალბატონო ნინო,

თქვენი, მიმდინარე წლის 9 ნოემბრის განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს მთავრობის #1988 განკარგულების თანახმად 250 000 აბონენტის გაზიფიცირება განსაზღვრულია 2017 წლის ბოლომდე. ამ ეტაპზე ენერგეტიკის სამინისტროსთან შეთანხმებულია საქართველოს რეგიონების გაზიფიცირების 2015 წლის გრაფიკი. 2013-2014 წლის გაზიფიცირების გრაფიკი ენერგეტიკის სამინისტროსთან არ შეთანხმებულა. 2016-2017 წლის გაზიფიცირების გრაფიკი კი ეტაპობრივად შეთანხმდება. აქვე გაცნობებთ, რომ 2013 წელს საქართველოს მასშტაბით გაზიფიცირდა 57 732 აბონენტი, ხოლო 2014 წელს 33 867 აბონენტი.

რაც შეხება გაზიფიცირების პირობებს გაცნობებთ, რომ ბუნებრივი გაზის სექტორში ახალი მომხმარებლის ქსელზე მიერთების საფასური 600 ლარიდან 400 ლარამდე შემცირდა. ასევე მოქმედებს ამ თანხის ეტაპობრივი გადახდის მექანიზმი და მოსახლეობას უკვე შემცირებული საფასურის გადახდა 25 ლარიანი პორციებით, 16 თვის განმავლობაში შეუძლია. მომსახურების ღირებულებაში შედის ბუნებრივი გაზის ერთი წერტილის მოწყობა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დაწვრილებითი ინფორმაცია განთავსებულია საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის საიტზე (http://www.gnerc.org) .

დანართი: 1 ფურცელი

პატივისცემით,
ირაკლი ხმალაძე

მინისტრის მოადგილე

საქართველო.თბილისი 0105. სანაპიროს ქ.2; ტელ.:235 78 28; 235 78 01; ელ.ფოსტა: mail@energy.gov.ge
2 Sanapiro str., 0105 Tbilisi, Georgia; Tel.: +995 32 235 78 28; +995 32 235 78 01; e-mail: mail@energy.gov.ge , web: www.energy.gov.ge

71	შიდა ქართლი	კასპი	ს. ქვემოჭალა	80
				27544

7-2